საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 687 2016 წლის 22 აპრილი ქ. თბილისი

„რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის 2013 წლის 21 მარტს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით - „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი“ გათვალისწინებული სესხის დახურვის თარიღის გადაწევის თაობაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართოს აზიის განვითარების ბანკს, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის 2013 წლის 21 მარტს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით - „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი“ გათვალისწინებული სესხის დახურვის თარიღის 2017 წლის 30 ივნისამდე გადაწევასთან დაკავშირებით სასესხო ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

№1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი